ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4094110

ნომერი: AR1616835

თარიღი : 23.07.2018

გაცემის თარიღი : 30.07.2018

გაცნობის თარიღი : 06.08.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილსა და წალენჯიხის ქუჩის გადაკვეთაზე;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კახაბერ შარვაძე პ/ნ 41001001312
- თბილისი საირმის ქ. N 11 ბ. 18

ორგანიზაცია:
- შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია" კოდი: 404391136

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - გაზგასამართი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის

გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 23 ივლისის NAR1616835 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და წალენჯიხის ქუჩის გადაკვეთაზე (ს/კ N 01. 17.09.053.002) გაზგასამართი სადგურის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს საზოგადოებრივ საქმიან ზონა-2-ში (სსზ-2), რომელიც წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივსაქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; აღნიშნულ ზონაში თქვენს მიერ მოთხოვნილი გაზგასამართი სადგურის განთავსება არ განეკუთვნება ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით განსაზღვრულ სსზ-2-ში დასაშვებ სახეობებს და განეკუთვნება აღნიშნულ ზონაში ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვებ სახეობებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას (იხ. დანართი).

აღნიშნულიდან გამომდინარე არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.